საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №49

2023 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

## „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

**„მუხლი 8. სს „თელასის" ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები**

| | | | |
|---|---|---|---|
| **1.** | **220/380 ვოლტი:** | | |
| ა) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე: | | |
| ა.ა) | მცირე საწარმოებისთვის | - | 7.859 თეთრი/კვტსთ; |
| ა.ბ) | საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-ის ჩათვლით | - | 7.859 თეთრი/კვტსთ; |
| ა.გ) | საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით: | - | 7.859 თეთრი/კვტსთ; |
| ა.დ) | საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 301 კვტსთ-დან და მეტი | - | 7.859 თეთრი/კვტსთ; |
| ა.ე) | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები, გარდა მცირე საწარმოებისა | - | 7.859 თეთრი/კვტსთ; |
| | | | |
| **2.** | **3,3-6-10 კილოვოლტი:** | | |
| ა) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე: | | |
| ა.ა) | საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის | - | 3.857 თეთრი/კვტსთ; |
| ა.ბ) | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის | - | 3.857 თეთრი/კვტსთ; |
| | | | |
| **3.** | **35-110 კილოვოლტი:** | | |
| ა) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე: | | |
| ა.ა) | არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის | - | 2.303 თეთრი/კვტსთ; |

“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | დავით ნარმანია |
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | დავით თვალაბეიშვილი |